საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივანს ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

9 ივლისი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ 2025 წლის 10 აპრილის N1/35 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობას იღებს კანდიდატი ლევან ნემსაძე.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული სანდო ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე, 2025 წლის 25 ივნისს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის ლევან ნემსაძე და მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მაქსიმალური 100 ქულიდან მივანიჭე 89 ქულა.

ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგეს 1185 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1300) 91,15 პროცენტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის N1/49 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცესის ფარგლებში შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შედეგის მქონე ერთი კანდიდატი ლევან ნემსაძე. აღნიშნული განკარგულებით, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ლევან ნემსაძემ დაიკავა პირველი ადგილი.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე საქართველოს პარლამენტისთვის ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მურუსიძე